ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1055883

ნომერი: AR1182683

თარიღი : 17.12.2013

გაცემის თარიღი : 24.12.2013

გაცნობის თარიღი : 24.12.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარი მოსიაშვილი პ/ნ 01017024864
- თბილისი გ.ახვლედიანის ქ. N 15

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ვინაიდან სოფელი დიღომი მოიცავს საკმაოდ ფართო ტერიტორიას, სადაც მიწის ნაკვეთები ქაოტურად არის რეგისტრიტებული, ასევე მოუწესრიგებელია საკადასტრო ერთეულებამდე მისასვლელი სამანქანო გზები, არ არსებობს კომუნიკაციების გამართული სისტემა, სამსახურმა შეიმუშავა ქალაქგეგმარებითი წინადადება–კონცეფცია (ჩარჩო გეგმა), რომელიც ითვალისწინებს აღნიშნული ტერიტორიის მოწესრიგებას და შემდგომში მისი ქალაქისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურით განვითრებას. აღნიშნული გულისხმობს ტერიტორიისთვის ზოგადი ინფრასტრუქტურით, საინჟინრო კომუნიკაციებით, გამართული სატრანსპორტო ქსელით უზრუნველყოფას, ასევე ფუნქციური ზონების დადგენა–ცვლილებას და მიწის ნაკვეთებზე შენობა–ნაგებობების განთავსების საკითხების დარეგულირებას. ვინაიდან ტერიტორია ვითარდება, როგორც ინდივიდუალური დასახლებებით ასევე მრავალბინიანი და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებით მათი ქაოტური განლაგების თავიდან აცილების მიზნით გზების მხარეს სისტემურად იქნა დატანილი 10 მერტრიანი განაშენიანების რეგულირების ხაზები სატრანსპორტო ზონიდან. ვინაიდან კონცეფცია (ჩარჩო გეგმა) გულისხმობდა ფუნქციური ზონების ცვლილებასაც, საკითხი განიხილა ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიამ და წარმოდგენილ ტერიტორიაზე 10 მეტრიანი განაშენიანების რეგულირების ხაზების დასმის და ფუნქციური ზონების წარმოდგენილი სქემის მიხედვით ცვლილების საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწია ქალაქ თბილისის საკრებულოს 2010 წლის 22 იანვრის სხდომაზე განსახილველად, აღნიშნულ სხდომაზე საკითხი გადაწყდა დადებითად. (გადაწყვეტილება #1–9 22.01.2010).

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.